არ შეხვიდეთ მათ საცხოვრებლებში, ვინც უსამართლოდ მოექცნენ თავიანთ სულებს, გარდა ტირილით

აბდულლაჰ იბნ უმარმა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) თქვა: ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად სამუდის ხალხის საცხოვრებლებთან ჩავიარეთ, და ჩვენ გვითხრა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «არ შეხვიდეთ მათ საცხოვრებლებში, ვინც უსამართლოდ მოექცნენ თავიანთ სულებს, გარდა ტირილით; ფრთხილად იყავით, ის არ დაგატყდეთ თავს, რაც მათ დაატყდათ», შემდეგ შემოსძახა და გააჭენა აქლემი, სანამ უკან არ მოიტოვა ის ადგილები.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), როცა ჩაიარა სამუდის ხალხის საცხოვრებლებთან აკრძალა მათ საცხოვრებლებში შესვლა ან კიდევ მათ სიახლოვეს მისვლა, ვისაც დაადგდათ სასჯელი, რომლებმაც საკუთარ თავს უსამართლოდ მოექცნენ, გარდა იმისა რომ იქ შემსვლელი ტიროდეს და მათ თავზე დამტყდარისგან იღებდეს მაგალითს; და ეშინოდეს იმის, რომ მასაც მსგავსი რამ არ დაატყდეს, როგორც იმათ დაატყდათ, შემდეგ შემოსძახა აქლემს და გააჭენა, სანამ არ გაეცალა და უკან არ მოიტოვა ის ადგილები.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66294